

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი (კონტრაქტით)

ჰაინრიხ თეოდორ გელეს ცხოვრება და მოღვაწეობა

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მრავალმა ეკროპელმა მიიღო მონაწილეობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კავკასიაში მოწყობილ ექსპედიციებში. ერთ-ერთ ექსპედიციას აპოლოს აპოლოსის ძე მუსინ-პუშკინი ხელმძღვანელობდა (1799-1805წ.)., რომელშიც მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა, 22 წლის გერმანელმა მხატვარმა, ჰაინრიხ თეოდორ ველემ. ექსპედიციაში კარტოგრაფიული რუკების შედგენის პარალელურად ველე ყოველთვის ახერხებდა დროის გამონახვას და ხატვას. მისი ნახატები საქართველოს ხედებითა და თბილისის პეიზაჟებით გერმანიის მუზეუმებშია გამოფენილი. ჰ. თ. ველეს ჩანაწერები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ ჯერ არ არის მიკვლეული, მაგრამ მისი ნახატებისა და ა. ა. მუსინ-პუშკინის ჩანაწერების მიხედვით მრავალმა მეცნიერმა სცადა აღედგინა ის გზა, რომელიც გერმანელმა მხატვარმა მოგზაურობისას განვლო.

1801 წელს მან რუსეთის სამეფო რეზიდენციაში გაყოლაზე თანხმობა მისცა გერმანიაში სამოგზაუროდ ჩასულ პეტერბურგის ხელოვნების აკადემიისა და იმპერატორის ბიბლიოთეკის დირექტორს გრაფ აუგუსტ შუაზელ-გუფიეს, რომელიც ამავე დროს ცნობილი ანტიკური ხანის მკვლევარიც იყო. სავარაუდოდ ველე უკვე 1801 წელს ჩავიდა პეტერბურგში. 1801/02 წლის ზამთარი ველემ პეტერბურგში გაატარა. ამასობაში პეტერბურგში სამხედრო და სამეცნიერო ექსპედიცია მზადდებოდა, რომელსაც გენერალი მუსინ-პუშკინი ხელმძღვანელობდა. ქალაქ ციტაუში კერძო საკუთრებაში მყოფი ერთი ნახატის ხელმოწერის მიხედვით ველე 1802 წელს უკვე თბილისში იყო. კავკასიის მისადგომებამდე მხატვრის არცერთი სურათი არ არსებობს, რომელზეც ასახული იქნებოდა ექსპედიციის ეს გრძელი გზა. გრაფ მუსინ-პუშკინის ფრაგმენტებად შემონახული ექსპედიციის დღიურის მიხედვით: ველე განაგებდა თან წაღებულ რუკებს, რომლებიც ადგილზე უნდა შეევსო ან შეესწორებინა. მუსინ-პუშკინს ამ ექსპედიციაში მხატვრის წაყვანის კიდევ ერთი მიზეზი პქონდა: მხატვარს ტოპოგრაფიულად უნდა აღებეჭდა სრულიად მოწყვეტილი სპილენძის საბადოებისაკენ მიმავალი გზა. ოა თქმა უნდა, ასეთი ნახატები სახელმწიფო არქივებში მიღიოდა. ველე მხოლოდ უბრალო ლანდშაფტურ ნახატებს იტოვებდა თავისთვის. მუსინ-პუშკინის დღიურის მიხედვით ექსპედიცია 1802 წლის 20 თებერვალს დაიძრა პეტერბურგიდან. კავკასიის გადაპევთა აპრილის ბოლოდან მაისის დასაწყისამდე მოხდა. თუ გავითვალისწინებთ თბილისში შექმნილ ბევრ ნახატს და ხელისმოწერას “ველე ტიფლისში”, შეგვიძლია ვიგარაუდოთ, რომ მხატვარი ამ ქალაქში დიდხანს დარჩა. მუსინ-პუშკინის დღიური 1802 წლის მაისის ბოლოს თბილისში ჩასვლით მთავრდება, მაგრამ მიგვითითებს, რომ ახლა სპილენძის საბადოების და მათთან მისასვლელი გზების ძიება უნდა დაიწყოს.

ეს თბილისიდან მოწყობილი გასვლითი ექსპედიციები ველემ რიგ ნახატებში დააფიქსირა მათში ჩანს უცხო ბუნებისა და საოცრად ლამაზი არქიტექტურისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. ალბათ 1803 წლის გაზაფხულზე გაუდგა მხატვარი სომხეთისაკენ მიმავალ გზას. ველეს უკან დასაბრუნებელი მარშრუტი ჩვენთვის სრულიად უცნობი რჩება. დაქანცული და ავადმყოფი ველვ, სავარაუდოდ 1804 წლის დასაწყისისათვის რომელიმე სამხედრო ტრანსპორტით უნდა დაბრუნებულიყო შინ. 1804 წელს მხატვარი აქტიურად მუშაობს.

1805 წლის პირველ იანვარს პაინრის თეოდორ ველე 27 წლის ასაკში სავარაუდოდ, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. იგი კრებაში, სოფლის სასაფლაოზე მამამისის გვერდით განისვენებს.

1811 წლის ივნისში იოჰან ვოლფგანგ გოეთე კარლსბადში იმყოფებოდა. იქ მან მიიღო გრაფი შიონბერგ-როთშიონბერგი, რომელმაც ველეს ნამუშევრები ხელოვანის დედისგან შეიძინა. თავის დღიურსა და ყოველწლიურ რვეულებში გოეთე მხატვარს ასე იხსენებს: „ასე გავეცანით პირველად უდროოდ გარდაცვლილი ველეს იმედის მომცემ ტალანტს, სახელად, რომლის ნამუშევრებიც ბარონ შიონბერგ-როთშიონბერგს შეუძენია. როგორც დაუსრულებელ, ასევე დასრულებულ ნახატებში წარმოჩნდა ბედნიერი ხელოვანისეული ხედვა სამყაროსი, ამ ნახატების მიმართ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა უცხო და უჩვეულო ადგილები. მხატვარს ტიფლისამდე ჩაუდწევია და შორეულიც და ახლობელიც მისთვის ჩვეული სიმსუბუქით ქაღალდისთვის მიუნდვია.“

ასეთი სათხო და ნაზი სულის ადამიანი ყოფილა ველე, რომელმაც რუსეთის იმპერიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში ახალი ქვეყნების გაცნობის სურვილითა თუ ფულის შოვნის მიზნით მიიღო მონაწილეობა. მან შთამომავლობას დაუტოვა უმშვენიერები ნახატები, რომელთა ხილვისას XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მოგზაურობ.

თეა ურუშაძე

თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პაინრის თეოდორ ველეს თვალით დანახული საქართველო

საქართველო თავისი მრავალფეროვანი ისტორიით, გეოპოლიტიკური მდებარეობით, მრავალფეროვანი ბუნებითა და განსაკუთრებით დახვეწილი თვითმყოფადი კულტურით, ყველა დროში დიდ ინტერესს იწვევდა. საქართველოში სხვადასხვა დროს მოხვედრილი მწერლები, პოეტები, მხატვრები, თუ ხელოვნების სხვა მოღვაწენი წარუშლელი შთაბეჭდილებით ტოვებდნენ ჩვენს ქვეყანას და ცდილობდნენ დანახული, აღქმული ფართო საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ.

სორბების გარემოცვაში გაზრდილი თ. ველე მისი ხანმოკლე სიცოც- ხლის განმავლობაში ამ კულტურის ტრადიციების ერთგული მატარებელი იყო. მხატვრული წრის წარმომადგენლებთან ურთიერთობებმა, დრეზდენის აკადემიაში

ცნობილ მხატვრებთან სწავლამ, საბოლოოდ ჩამოაყალიბა ველეს მანერის სტილისტიკა. კავკასიის ექსპედიციაში მონაწილეობას გარკვეული ცვლილებები შეაქვს ველეს შემოქმედებაში და მხატვრის ხელწერას სრულიად ახალი ხარისხით წარმოაჩენს.

ჰაინრიხ თეოდორ ველეს თვალით დანახული საქართველო მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა. კავკასიის წარმტაცმა ბუნებამ, გრანდიოზული მთების სამყარომ, უმველესი კალესიების არქიტექტურამ, უდიდესი შთაგონებით აღავსო მხატვარი და მისი ოსტატობა დამოუკიდებელი ხელწერით გამოავლინა.

პ. თ. ველეს თითოეულ ნახატში სხვადასხვა რაცურსით დანახული ისტორიული ადგილები, არქიტექტურული ძეგლები, ხიდები, მთიანი ბუნება ჩანჩქერებით და მრავალი სხვა, წარმოგვიდება ცარიელი და შევსებული სივრცის გაწონასწორებული პარმონიით, რბილი ფერადოვანი გამის გადასვლებით, ხაზების და შუქ-ჩრდილების თავისებური მონაცვლეობით. მისი ხელწერისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის განლაგების გარკვეული სქემა, რომელიც სინამდვილის აღქმისა და გადმოცემის პროცესში, ყოველთვის დამოუკიდებელი ხასიათისაა.

დღეს ჰაინრიხ თეოდორ ველეს ნამუშევრების შეგროვების პროცესი არ შენელებულა. არსებული მასალა დიდ ინტერესს იწვევს და მისი თვალით დანახული საქართველო შეუფასებელი განხია, რომელსაც ქართველი ხალხი სამუდამოდ შეინარჩუნებს.

ოთარ ქორდანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოში ა.ა. მუსინ-პუშკინის მოღვაწეობის ისტორიიდან (1801-1805 წწ.)

ცნობილმა რუსმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ა.ა.მუსინ-პუშკინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოში სამორ წარმოებისა და თბილისის ზარაფხანის აღდგენის საქმეში. ა.ა.მუსინ-პუშკინის აზრით, სამორ წარმოების აღორძინება-განვითარებასთან ერთად თბილისის ზარაფხანის გახსნა დამატებით მოგებას მოუზანდა რუსეთის იმპერიის ხაზინას. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები უნდა გამხდარიყვნენ რუსული სამონეტო სისტემის ნაწილი. თავდაპირველი გეგმით, მონეტებზე წარწერა უნდა ყოფილიყო რუსულ ენაზე.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) მხარი დაუჭირა თბილისში ზარაფხანის განახლების იდეას. ამავდროულად, მან მოითხოვა, რომ მონეტებზე წარწერები ყოფილიყო მხოლოდ ქართულ ენაზე, რუსეთის იმპერიის სიმბოლოების (ორთავიანი არწივი და ა.შ.) გარეშე. ეს პრინციპული მოსაზრება, ჩვენი აზრით,

პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე საქართველოში გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო გაუქმებული სამეფოს აღდგენას, არამედ ახლად დამკვიდრებული რუსული ადმინისტრაციის გაძევებას ქვეყნიდან. ამ ბრძოლაში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხები. რუსეთისადმი აშკარად მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ სპარსეთი და ოსმალეთი. ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის პოზიციებს საქართველოში. მოსახლეობის დაშოშმინებისა და მათი ნდობის მოპოვების მიზნით, იმპერატორი მიზანშეწონილად მიიჩნევდა გარკვეულ დათმობებზე წასვლას, რაც საბაზრო მიმოქცევაში ქართული ფულის დაშვებაში გამოიხატა. როგორც კი რუსეთის იმპერიამ პოზიციები განიმტკიცა სამხრეთ კავკასიაში, თბილისის ზარაფხანა საბოლოოდ დახურეს (1834 წ.). მიუხედავად ამისა, ქართული ფული მიმოქცევაში XIX საუკუნის ბოლომდე დარჩა.

1804-1813 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები – ქართული თეთრი და ქართული ფული, ერთადერთი ეროვნულ (ქართული) წარწერიანი ფულის ნიშანი იყო მთელს იმპერიაში. XIX საუკუნეში თბილისის ზარაფხანა მეორე იყო იმპერიაში, რომელიც ვერცხლის მონეტას ჭრიდა. 1776 წლიდან ეს უფლება მხოლოდ სანკტ-პეტერბურგის ზარაფხანას ჰქონდა.

საყურადღებოა ა.ა.მუსინ-პუშკინის ცნობა ერეკლე II-ის დღემდე უცნობი მონეტის შესახებ, რომლის ერთ მხარეზე თურმე ეწერა ქალაქ თბილისის სახელი, ხოლო მეორე მხარეზე – თათრულად: „ მეფე ერეკლეს ძალა“. აღნიშნული საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

დიტრიხ შოლცე, ეპატერინე რაისნერი ლაუზიცელი სორბები-მცირერიცხოვანი ერი გერმანიაში

სორბები (მათი ძევლი გერმანული სახელი „ვენდებია“) დასავლეთ სლავური ხალხია. ლაუზიცი, მათი დასახლების ტერიტორია გვიანდელი ხანის ცენტრალურ გერმანიაში, დღეს ორ ფედერალურ მიწას განეკუთვნება: ობერლაუზიცი საქსონიის აღმოსავლეთში მდებარეობს, ნიდერლაუზიცი კი ჩრდილოეთით, ბრანდენბურგში. თავდაპირველად 20 სორბული ტომი არსებობდა და ეს ტომები 40 ათას კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე სახლობდნენ. დღესდღეობით კი ორენოვანი ლაუზიცის ტერიტორია 4000 კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა. ეს ტერიტორია ჩეხეთის საზღვარსა და ბერლინს შორის მდინარე შპრეეს გასწვრივ მდებარეობს. ობერლაუზიცში დღეს დაახლოებით 40 ათასი სორბი ცხოვრობს, ნიდერლაუზიცში კი 20 ათასი.

ლაუზიცელ სორბთა რაოდენობა არასდროს ყოფილა 250 ათასზე მეტი (დაახლოებით 1800 წლისათვის). გერმანული აღმოსავლური ექსპანსიის გამო მათ გერ შეძლეს ვერც საგუთარი პოლიტიკური წყობისა და ვერც ეკლესიური

ორგანიზაციების ჩამოყალიბება. „მხიარული და სტუმართმოყვარე კენდები“ (ასე აღწერდა მათ პასტორი და ეთნოგრაფი იოპან გოტფრიდ ჰერდერი) თანდათანობით ინტეგრირებულ იქნენ გერმანულ სახელმწიფოში მე-10 საუკუნის ფრანკული იმპერიიდან დაწყებული დღევანდელი გაერთიანებული გერმანიით დამთავრებული. რა შეიძლება დავუპირისპირდეს სორბული საზოგადოებისათვის საშიშ მარგინალიზაციას? რა საშუალებებს შეიძლება დავეყრდნოთ დღესდღეობით ნაციონალური სუბსტანციის წასახალისებლად? ქვემოთ ამ პრობლემებთან დაკავშირებულ შვიდ ასპექტს შევაჯამებ:

1. სორბული ენა (ობერსორბული და ნიდერსორბული) ცენტრალურ სფეროებში დიალექტიდან დაწყებული, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებით დამთავრებული, კომუნიკაციის ცოცხალ საშუალებად დამკვიდრდა.
2. არსებობს მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი სულიერი კულტურა, რომელიც ლიტერატურის (პუბლიცისტიკის ჩათვლით), თეატრის, მუსიკის, მხატვრობის და ა.შ. სფეროებში თითოეულ სორბს პროდუქტიული თუ რეცეპციული მონაწილეობის საშუალებას აძლევს.
3. სკოლა: განათლება სორბულ ენაზე როგორც დედა ენა, ან როგორც უცხო ენა, საბავშვო ბალიდან დაწყებული სორბისტიკის ინსტიტუტით დამთავრებული (ლაიფციგის უნივერსიტეტში) ორგანიზებულია და სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდება.
4. კათოლიკური და ევანგელისტური ეკლესია უკვე გამოცდილი მაშტაბებით ახორციელებს ნაციონალურ ღონისძიებებს: წირვებს სორბულ ენაზე, რადიოგადაცემებს, საეკლესიო გაზეთებს, მომლოცველ და დასასვენებელ მოგზაურობებს სლავურ ქვეყნებში და სხვა.
5. საზოგადოებრივმა რადიომ უკვე 1988 წელს სორბულენოვანი გადაცემების ხანგრძლივობა დღეში ოთხ საათამდე გაზარდა. 1992 -2001 წლებიდან რეგიონალური ტელევიზია თვეში ერთხელ ნახევარსაათიან გადაცემებს უშვებს ნიდერსორბულ და ობერსორბულ ენაზე.
6. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჩამოყალიბდა ტრადიციული და ახალი გაერთიანებები, რომლებიც „დომოვინას“ ხელმძღვანელობით მრავალფეროვან ინტერესებს ამჟღავნებენ და დამატებით ნაციონალურ ენერგიას ავლენენ.
7. 1990 წლიდან მოყოლებული სორბები, რა თქმა უნდა მონაწილეობენ ეკროპული უმცირესობების მოძრაობის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელთაგანაც ისინი ადრე იდეოლოგიური მიზეზების გამო იზოლირებულები იყვნენ.

პლურალური დემოკრატიისა და სოციალური საბაზო ეკონომიკის პირობებშიც აუცილებელია სახელმწიფოს დახმარება, რათა გამოსწორდეს უმცირესობების სიტუაციის სტრუქტურული ნაკლოვანებები. მხოლოდ ასე შეიძლება შენარჩუნდეს უნიკალური, ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით მრავალფეროვანი რეგიონი აღმოსავლეთ გერმანიაში, მხოლოდ ასე დარჩება მომავალ თაობებს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ჰუმანური ფასეულობები და გამოცდილება.

გია გელაშვილი

იგანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

აუგუსტ პაქსტაუზენის ცნობები ოსების შესახებ

1.აუგუსტ პაქსტაუზენის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, მისი მრავალმხრივი განათლება.

2.ურთიერთობა მეზღაპრე ძმებ გრიმებთან, ხალხური სიმღერების შეგროვება.

3.პაქსტაუზენი აგრარული ურთიერთობების მკვლევარი.

4.რუსეთში წასვლა. ნაშრომი რუსული თემის შესახებ.

5.პაქსტაუზენი საქართველოში - მისი სამოგზაურო აღწერილობანი; ცნობების მრავალფეროვნება და სანდობა. ავტორის კვლევის მეთოდი.

6.პაქსტაუზენი ოსურ მხარეში - ვრცელი ეთნოგრაფიულ-სამართლებრივი სურათი. ცნობათა მიმწოდებლები. მოგზაურის მიერ დანახული მსგავსება ოსებისა და გერმანელების ყოფაში. ოსებისა და გერმანული ტომების სავარაუდო “საერთო” წარმომავლობა.

ბეჭან ჯავახია, თსუ პროფესორი

აკაკი გეთიაშვილი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

ჟან დე მანდევილეს მოგზაურობა აღმოსავლეთში და ცნობები საქართველოს შესახებ

XIV საუკუნის გამოჩენილ მოგზაურთა შორის მარკო პოლოსა და გიორგი ბრერიკვიუსის გვერდით შეიძლება დავასახელოთ ჟან დე მანდევილე. თუ გავითვალისწინებო იმას, თუ რამდენი ხელნაწერი არსებობს მისი წიგნისა და რამდენ ენაზე ითარგმნა იგი გვიან შუა საუკუნეებში, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ პოპულარობით ის აჭარბებს ყველა მის თანამედროვე მოგზაურს. დღემდე ჩვენამდე მოაღწია მისი მოგზაურობის წიგნის 300- მდე ხელნაწერმა. 1470 დან 1500 წლამდე წიგნის ბეჭდვის დაწყების დასაბამშივე, გამოიცა მისი წიგნის 7 ფრანგული, 13 იტალიური, 8 გერმანული და 4 ლათინური ტექსტი.

ჟან დე მანდევილეს ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული, ხშირად მეცნიერები მას ჟან საიდულოებითმოცულის სახელითაც მოიხსენიებენ. მიუხედავად მისი პოპულარობისა ზოგიერთი მკვლევარი საერთოდაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მის მოგზაურობას. მის მოგზაურობის წიგნს მიიჩნევდნენ შუა საუკუნეების სხვადასხვა მოგზაურთა წიგნების კომპილაციად. მაგრამ მისი წიგნის მნიშვნელობისათვის საკმარისია დავასახელოთ, თუ როგორ ეკიდებოდნენ მის ნაწარმოებს ცნობილი მოგზაურები და გეოგრაფები. ჟან მანდევილეს

მოგზაურობის წიგნში, როგორც ამას თვითონ აღნიშნავენ, დიდი სამსახური გაუწია ქრისტეფორე კოლუმბს და, ასევე კარტოგრაფიის ფუძემდებლებს გერპარდ მერკატორსა და აბრაამ ორტელიუსს.

უან დე მანდევილე, ან შესაძლებელია მისი სახელი იყოს იოანე, ჰანსი, ან კიდევ ჯონი დაიბადა სანკტ ალბანსში, ინგლისში, საიდანაც იგი 1322 წელს წავიდა სამოგზაუროდ ჯერ წმინდა მიწაზე და შემდეგში განაგრძო მოგზაურობა შორეულ აღმოსავლეთში ინდოეთსა და მონდოლეთში. მოგზაურობიდან დაბრუნებული მანდევილე დასახლდა კონტინენტზე, ლიტებში, სადაც მან დაწერა თავისი მოგზაურობის წიგნი. როგორც წყაროებიდან ჩანს მანდევილე ლუტებში ცხოვრობდა ექიმ უან დე ბურგონ დიტ ა ლა ბარბეს (Jean de Burgogne a la Barbe) სახელით. მისი მოგზაურობის წიგნს სათაური არა ჰქონია უბრალოდ მოგვიანებით გამომცემლებმა და გადამწერებმა იგი დაასათაურეს და ამ წიგნს ჰქვია “რაინდ უან მანდევილეს მოგზაურობა წმინდა მიწასა და შორეულ აზიაში 1322-1356 წელი”. როგორც მანდევილეს მკვლევარები აღნიშნავენ წიგნი თავიდან დაიწერა ფრანგულ ენაზე და ის მაშინვე ითარგმნა ეგროპის თითქმის ყველა ენაზე. უან მანდევილე გარდაიცვალა ლუტებში 1372 წელს.

უან მანდევილეს ნაწარმოები ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა მაღალი და გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურული ურთიერთობათა შესასწავლად. წიგნი საყურადღებოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, რადგანაც ამ წიგნში გვხვდება რამდენიმე საინტერესო ცნობა საქართველოს შესახებ. ეს ცნობები არის მიმობნეული მანდევილეს წიგნის ორივე ნაწილში. როგორც იმ ნაწილში სადაც ის აღწერს წმინდა მიწას და ასევე მეორე ნაწილში, რომელიც შეეხება მის მოგზაურობას აზიაში, სახელდობრ - ჩინეთსა და ინდოეთში. პირველი ცნობა ეხება ქართველთა მოღვაწეობას წმინდა მიწაზე, სადაც ის აღწერს ქართველ ბერთა და საერო პირთა ჩაცმულობასა მიუთითებს მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე წმინდა გიორგის მიმართ. აზიაში მოგზაურობის აღწერისას ის გადმოგვცემს ზოგად ცნობებს საქართველოს შესახებ და ამ დროს საქართველოში არსებული ორმეფობის შესახებ. როგორც ჩანს ის კარგად არის ინფორმირებული საქართველოს შესახებ, რადგანაც მისთვის ცნობილია, ამ დროისათვის საქართველოს სამეცნიეროების მდგომარეობა და მათი მიმართება მონდოლთა საყაენოს მიმართ. ასევე ფრიად საინტერესო ცნობა გვხვდება მის ნაწარმობში საქართველოს ტერიტორიაზე, სახელდობრ დასავლეთ საქართველოში წმინდა ადგილის და იქ განხორციელებული სასწაულის შესახებ.

უან დე მანდევილეს მოგზაურობის წიგნი ჩვენი აზრით არის მეტად მნიშვნელოვან წყაროს შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანული სამყაროსა და მონდოლთა ურთიერთობების, ასევე წმინდა მიწის ისტორიისა და აღმოსავლეთში სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთობების შესასწავლად.

აკაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მორიც ფონ ენგელჰარდტისა და ადოლფ ბასტიანის მოგზაურობათა ჩანაწერები
საქართველოს შესახებ

მრავალი გერმანულენოვანი გამოკვლევა შესწავლილი და გამოქვეყნებულია
ქართველი მეცნიერების მიერ. მაგრამ, ჯერ კიდევ რჩება რიგი პუბლიკაციებისა,
რომელიც არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ან მას მხოლოდ
სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობს.

გვინდა წარმოვადგინოთ მორიც ფონ ენგელჰარდტისა და ადოლფ ბასტიანის
მოგზაურობის ჩანაწერები. ზემოთხსენეულ გერმანელ მეცნიერთა ჩანაწერებში
საქართველო გამოკვლეულია ბუნებრივ-გეოგრაფიული მდგომარეობისა და
რელიგიურ-მითოლოგიური თვალსაზრისით. იმ პერიოდისათვის ეს იყო ძალიან
დიდი საქმე. რამდენადაც ამ და სხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული
ნაშრომებით, ევროპელები პირველად ეცნობოდნენ იმ ქვეყნას, რომელიც
ხანგრძლივი დროის მანძილზე ცივილიზებული სამყაროსათვის უცნობი რჩებოდა.
1810 წელს, განახორციელა პირველი კვლევითი მოგზაურობა კავკასიაში. სამ
თვიანი სირთულეებით აღსავსე მოგზაურობის შემდეგ, მათ ყირიმამდე მიაღწიეს;
გარბეული პერიოდი დაჟყვეს ჩრდ. კავკასიის სტეპებში. კავკასიაში
განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, მათ არასაიმედო მდგომარეობაში
აგდებდა, თავიანთი კვლევითი მიზნის რეალიზაციის თვალსაზრისით. მაგრამ, იმ
ხანად შეჩერებული რუსეთ-თურქეთის ომის წყალობით, პაროტმა და
ენგელჰარდტმა შეძლეს 1811 წელს 1 და 2 სექტემბერს დაეპყროთ ზღვის დონიდან
3907 მეტრი სიმაღლე; ხოლო 3 სექტემბერს 4226 მეტრი სიმაღლე და მიეღწიათ
ყაზბეგის მწვერვალამდე. ეს იყო დიდი მნიშვნელობის ფაქტი არა მარტო
მეცნიერული ალპინიზმის თვალსაზრისით, არამედ, ადამიანური სიდიადის
გამოვლენის თვალსაზრისითაც. ისინი იყვნენ პირველი ადამიანები, რომლებმაც
ურთულეს ბუნებრივ და ტექნიკური აღჭურვის პირობებში განახორციელეს ამ
სიმაღლის დაპყრობა. ორივე მეცნიერი, სიცოცხლის ბოლო დღემდე პროფესორის
თანამდებობაზე დერატის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ. კავკასიაში
მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები მათ ასახეს თავიანთ წიგნში:
„მოგზაურობა ყირიმსა და კავკასიაში“, რომელიც 1815 წელს ბერლინში გამოიცა.

XIX საუკუნის გერამანელ მოგზაურთა შორის, რომელმაც საქართველო და
კავკასია, რელიგიურ-მითოლოგიური კუთხით განიხილა თავის შრომებში, იყო
უდიდესი გერმანელი ანთროპოლოგი და ეთნოლოგი - ადოლფ ბასტიანი.
მოგზაურობის შედეგად მკვლევარმა თავი მოუყარა უნიკალურ არქეოლოგიურ და
ეთნოგრაფიულ მასალებს. მოგზაურობის შემდეგ, 1859 წელს მან გამოქვეყნა
მნიშვნელოვანი ნაშრომები: “ისტორიაში ადამიანის უფლების შესახებ”,
“აღმოსავლეთ აზიის ხალხები” (შესწავლა და მოგზაურობა) და სხვა. ბასტიანმა

საქართველოში იმოგზაურა 1865 წელს. კავკასიის ამ რეგიონში მოგზაურობის დროს მან უურადღება შეაჩერა საქართველოს (კერძოდ დას. საქართველოს) რელიგიურ-მითოლოგიურ ფორმებზე. მკვლევარის შეფასება ქართულ არქაულ რწმენა-წარმოდგენებზე, ხალხურ ზეპირსიტყიერებაში შემორეჩენილ მითოლოგიურ გადმოცემებზე და მის კავშირზე ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსი ტიპის რელიგიურ-მითოლოგიურ გამოვლინებასთან, მოცემულია ადოლფ ბასტიანის შრომებში: „ჯადოქარები და წყლის დედოფლები იმერეთში“ და „კავკასიურ თქმულებათა სამყაროდან“, რომელიც 1868 წელს ავტორმა გამოსცა აუგსბურგში გამომავალ გერმანულენვან უურნალში „საზღვარგარეთი“.

მერაბ ვაჩნაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსეთის ბრძოლა იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის (1804-1810)

იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის მზადებას რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე შეუდგა. რუსეთის გეგმა ითალისწინებდა:

1. სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის ურთიერთობის გამწვავებას;
2. გურიის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის ურთიერთობის გამწვავებას;
3. იმერეთის სამეფოს თავადების ნაწილის გადაბირებას;
4. იმერეთის სამეფოს საქმეებში ოსმალეთის ჩარევის გამორიცხვას;

რუსი დიპლომატებისა და სამხედროების აზრით სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან დაპირისპირებული თავადებისგან მიტოვებული იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის ქვეშვევრდომობაზე უარს ვეღარ იტყოდა.

1804-1810 წლებში რუსეთმა იმერეთის სამეფოს გაუქმების გეგმა სისრულეში მოიყვანა.

გახტანგ გურული თსუ ასოცირებული პროფესორი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის

ავტოკეფალიის გაუქმების საკითხისათვის (1811-1814 წწ.)

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი მფარველობითი ხელშეკრულება (ტრაქტატი) დიდი ხნის განმავლობაში (1771-1783 წწ.) მზადდებოდა. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლე II-ის მიერ ეკატერინე II-ისათვის გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტში სრულიად გარკვევით იყო მითითებული უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების „საუკუნოდ და უცვალებლად“ შენარჩუნების თაობაზე. გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლებასთან ერთად უცვლელად იქნა

შენარჩუნებული უმარლესი საეკლესიო იერარქის (კათალიკოს-პატრიარქის) ხელისუფლება. ამავე დროს კათალიკოს-პატრიარქის რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრად (რიგით მერვე წევრად) დადგენით (მერვე მუხლით) შეიღახა ქართლ-კახეთის უმაღლესი საეკლესიო იერარქის, უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმყრობლის უფლება. უწმინდეს სინოდში, და საერთოდ რუსეთის ეკლესიაში, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის რანგის სასულიერო პირი არ იყო (1700-1917 წლებში რუსეთის იმპერიას პატრიარქი არ ჰყოლია).

1811 წელს რუსეთის იმპერატორმა გააუქმა მცხეთის საპატრიარქო ტახტი, ხოლო 1814 წელს აფხაზეთის საკათალიკო ტახტი. 1811-1814 წლებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება განხორციელდა უკანონოდ:

1. ავტოკეფალიის გაუქმების გადაწყვეტილება უნდა მიეღო საქართველოს საეკლესიო კრებას და შესაბამისი ოხოვნით უნდა მიემართა რუსეთის საეკლესიო კრებისათვის.
2. რუსეთის საეკლესიო კრებას უნდა განეხილა საქართველოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილება და მიეღო შესაბამისი დადგენილება.
3. საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები უნდა ეცნო მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოებს და პირველ რიგში კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ყოველეივე ზემოთ აღნიშნულის გვერდის ავლით მოხდა. ამასთან ერთად დაირდვა საეკლესიო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა სახელმწიფო ებრიობის გაუქმება არ შეიძლება იყოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საფუძველი.

თამაზ ბერაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ ხოხობაშვილი - ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რუსეთის პოლიტიკური კურსის ძირითადი ეტაპები მე-XIX საუკუნის საქართველოში

მე - XIX საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოში და ქართველი ხალხის მიმართ გატარებულ პოლიტიკაში, შეიძლება სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოს.

1. რუსეთის მიმართ საქართველოში და ქართველი ხალხის მიმართ გატარებული პოლიტიკის პირველი ეტაპი მე-XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლებით უნდა განისაზღვრებოდეს.

უპირველეს ყოვლისა უნდა გადაისინჯოს ყბადადებული ტერმინი საქართველოს რუსეთიდან ნებაყოფლობითი შეერთების შესახებ. სინამდვილეში არავითარ „ნებაყოფლობით“ შეერთებას ადგილი არ ჰქონია. რუსეთმა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით, ჯერ აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) დაიპყრო, შემდეგ კი თავისი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში გაავრცელა.

2. რუსეთის ბატონობის მე-2 ეტაპი მე- XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართველებისადმი გარკვეული დათბობით დაიყო. ამის მიზეზი კავკასიის ომი იყო, რომლის მოგება რუსებმა ქართველების აქტიური დახმარების გარეშე ვერ მოახერხეს. ეს იყო მ. ვორონცოვის „დათბობის პოლიტიკის“ ძირითადი მიზეზი, როდესაც გარკვეული ყურადღება მიექცა ქართულ ენას, პრესას, თეატრს და საერთოდ ქართული კულტურის აღორძინებას. ასეთი პოლიტიკა დაახლოებით 20 წელი გაგრძელდა.

3. საქართველოში და ქართველი ხალხისადმი რუსეთის პოლიტიკის ახალი მე-3 ეტაპი 1864 წ.დან, კავკასიის ომის დასრულებისთანავე დაიწყო. რუსეთის იმპერია გრძნობდა, რომ ქართველ ხალხში ახალი ძალით იფეთქებდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამ საფრთხის წინააღმდეგ, რუსეთის ხელისუფლება შემხვედრ, საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამდა. ოფიციალური სასწავლო დაწესებულებიდან თითქმის მთლიანად განიდევნა ქართული ენა. ქართველი ხალხის დაშლის მიზნით, ტერმინი „ქართველი“ მხოლოდ ქართლ-კახეთის ქართველი მოსახლეობის მიმართ იხმარებოდა. ცალკე დაიწყო იმერლის, ფშავლის, ხევსურის, გურულის აღრიცხვა. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლება შეეცადა ქართველი ხალხისაგან მთლიანად გაემიჯნა მეგრელები და სვანები. დაიწყო ვითომდა ზრუნვა მეგრელებისა და სვანების მიმართ. ქართული ენის ამ დიალექტებს შეუქმნეს განსაკუთრებული ანბანი. დაიწყეს საღმრთო წიგნების თარგმნა ამ დიალექტებზე. დიდი სურვილი ჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ სამეგრელოში და სვანეთში მღვდელთმსახურება რუსულთან ერთად მეგრულად და სვანურად შემოეტანათ. რუსეთი ამ პოლიტიკით ქართველი ხალხის ასიმილაციის გზას დაადგა.

ქეთევან პავლიაშვილი - თხუ ასოცირებული პროფესორი

რუსული საეპლესიო რეზორმაციის დარშმატებელი

პროექტი - ბრძოლა არამართლებრივი უფლებებისათვის

რუსული რელიგიურ-რეფორმაციული მოძრაობის ისტორია ძველი რუსეთის ნოვგოროდის რესპუბლიკაში დაიწყო. რუსი საზოგადოების ღვთისძიებისაგან

აქტივობა ოფიციალური მართლმადიდებლობის საზღვრებს გასცდა და XIV საუკუნეში რეფორმაციულმა მოძრაობამ ჩამოყალიბებული ხასიათი შეიძინა. რუსეთის ისტორიაში ხსენებული მოძრაობა სტრიგოლინიკობის სახელით შევიდა. შეა საუკუნეების რუსული რეფორმაციას ორგანიზებული სახე გააჩნდა, პქონდა თავისი მოძღვრება და დახვეწილი მეთოდ-ხერხებით მოქმედებდა. რუსულმა წყაროებმა რეფორმაციული მოძღვრების თხზულებები ვერ შემოგვინახა. საეკლესიო იერარქების ძალისხმევით სრულად განადგურებულ იქნა არაოფიციალური საეკლესიო ლიტერატურა და დროს მხოლოდ რუსულ მატიანებში რელიგიური მოძრაობის ფრაგმენტები და პოლემიკური ხასიათის წერილები შემორჩა. რელიგიურ მოძრაობას მკაფიოდ გამოხატული ამოცანა პქონდა ოფიციალური საეკლესიო იერარქიის უარყოფა და მისდამი აბსოლუტური დაუმორჩილებლობა. აღნიშნული ამოცანა საუკუნეების მანძილზე იდეის სახით ჩამოყალიბდა. ეს იდეა ასწლეულების მანძილზე ხელმძღვანელობდა რეფორმაციულ მოძრაობას და ის რუსეთის ისტორიაში ბეზპოპოვშინას იდეის სახელით შევიდა. ამრიგად, თუ ევროპის სასულიერო მოდერნიზაციის იდეას ლუთერანიზმი წარმოადგენდა, რუსეთში ის სტაროვერობის სახელით გაჩნდა და მან რუსეთის ეკლესიაში დიდ სქიზმას დაუდო სათავე.

ია ხუბაშვილი - თსუ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ფრანგი მოგზაურის მარკიზ დე კიუსტინის ცნობები XIX საუკუნის რუსეთზე

ეპოქა, რომელზეც ფრანგი მოგზაური მარკიზ დე კიუსტინი ცნობებს გვაწვდის, თავის ფართოდ გახმაურებულ წიგნში „რუსეთი 1839 წელს“ ქრონოლოგიურად უკავშირდება ნიკოლოზ I-ის მეფობის წლებს (1825-1855). მარკიზ დე კიუსტინი გაეცნო რუსეთის ღირსშესანიშნაობებს, საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრებას და თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ასახა წიგნში „რუსეთი 1839 წელს“, რომელშიც მეთოდურადაა ნაჩვენები იმპერიის მაშინდელი ცხოვრების ყველა ასპექტი. საინტერესოა ავტორის მეთოდი თუ როგორ უდგება ნახულისა და განცდილის გააზრებას, როგორ წერს? „ნუ ელით ჩემგან მოგზაურობის სისტემატიურად აღწერას. ვწერ მხოლოდ იმას, რაც ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და სრულიად არ ვფიქრობ ყველა ჩემს მიერ ნახულის ჩამოთვლას: კატალოგები ისედაც ბევრია და მე არ მსურს მათი რიცხვის გამრავლება“ – წერს ფრანგი მოგზაური და მთელ წიგნში ამ ნათქვამის ერთგული რჩება. წინა პლანზე აქვს წამოწეული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო დამახასიათებელი მხარეები, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს იმპერიის ცხოვრების მრავალ მხარეზე, მეფის სასახლიდან დაწყებული დარიბ გლეხებამდე დამთავრებული. ნაშრომი გახდა თვითმპურობლობის ნამდვილი მამხილებელი დოკუმენტი. ნიკოლოზ I-მა ეს წიგნი წაკითხვის შემდეგ იატაკზე დაანარცხა და შეპყვირა: „ჩემი ბრალია,

რისთვის ვლაპარაკობდი ამ არამზადასთან“. მისი წიგნი ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთის შესახებ წარმოადგენდა თვითმპერობელობისადმი ნამდვილ განაჩენს: „უნდა იცხოვორო ამ მოუსვენარ უდაბნოში, ამ მოუსვენებელ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, რომ იგრძნო ევროპის ხალხთა თავისუფლება, რანაირადაც არ უნდა იყოს იქ მმართველობის წესწყობილება“ – წერდა ავტორი, რომლის გენერალ ბაბუას და დიპლომატ მამას საფრანგეთის რევოლუციამ გილიოტინაზე თავები მოჰკვეთა.

მარკიზ დე კიუსტინის წიგნში არაფერია ნათქვამი რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, სამხედრო წარმატებებზე, არაფერია ნათქვამი იმაზე, რაც კეთდებოდა მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში და რაც მთავარია იმაზე, რომ ხდებოდა ხალხის გამოღვიძება და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრანგი მოგზაურის წიგნი თავისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით უაღრესად საყურადღებო და ფასეულია 30-იანი წლების რუსეთის ისტორიის შესასწავლად. თუმცა მიგვაჩნია, რომ წიგნი დაიწერა რუსეთის დისკრედიტაციის მიზნით და თავისი მისიაც შეასრულა. ამიტომაც იყო, რომ ფრანგი ავტორის წიგნს ევროპა აღფერთოვანებით შეხვდა.

**თეა წითლანაძე თსუ ასისტენტ-პროფესორი, ისტორიის დოქტორი
თეა ქარჩავა ისტორიის დოქტორი
გიორგი ქავთარაძე სამაგისტრო პროგრამის “მსოფლიო ისტორია” მაგისტრანტი
ბერნარდო ნეაპოლელის მოღვაწეობა**

აღმოსავლეთით მიმართულმა მისიონერულმა მოძრაობამ, რომის პაპების ინიციატივითა და მეთაურობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ქვეყნებთან დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობების გააქტიურებაში. კათოლიკური ეკლესიის აღმოსავლური მისიონერული მოღვაწეობა სათავეს ჯვაროსნული ლაშქრობებიდან იღებს და XIX საუკუნეებდე გრძელდება. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს XVII საუკუნის მეორე ნახევარი წარმოადგენს, როდესაც რომის პაპის აღექსანდრე VII-ის (1655-1667წწ.) 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით საქართველოში დაიწყო კაპუცინთა (ლათ. *Capucino*) მისიონერულმა ორდენმა მოღვაწეობა. სწორედ კაპუცინთა ორდენის წარმომადგენელი იყო ჩვენთვის საინტერესო პიროვნება - ბერნარდო ნეაპოლელი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი ბერნარდო ნეაპოლელი, რომელმაც საქართველოდან წაიღო უამრავი ხელნაწერი: როგორც მის მიერ შედგენილი და გადაწერილი, ასევე ქართულ ბიბლიოთეკებში დაცული და მის მიერ მოძიებული. ბერნარდო ნეაპოლელის მიერ საქართველოდან წაღებულ ხელნაწერებს XIX საუკუნის მიწურულს მიაკვლიერ გერმანელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარდგმა და ქართველმა მკლევარმა

მიხეილ თამარაშვილმა. ეს ხელნაწერები ინახებოდა ქალაქ ნეაპოლთან მდებარე სოფელ ტორე დელ გრეკოში (იტალ. Torre del Greco – სიტყვა-სიტყვით ბერძნული კოშკი). აღნიშნულ ხელნაწერთა აღმოჩენის წლილსა და სახელს თანაბრად ინაწილებენ როგორც პუგო შუხარდტი, ასევე მიხეილ თამარაშვილი, რადგან XIX საუკუნის 90-იან წლებში მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეისწავლეს ეს ხელნაწერები.

პუგო შუხარდტისა და მიხეილ თამარაშვილის მიერ მიკლეული ხელნაწერების საფუძველზე, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ბერნარდო ნეაპოლელის მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში. რა თქმა უნდა, ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერების აღწერასა და დახასიათებას ქართველი მეცნიერი უფრო საფუძვლიანად გადმოგვცემს, ვიდრე გერმანელი. თუმცა, მათ მიერ ბერნარდო ნეაპოლელის ხელნაწერების შედგენილი კატალოგებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევა ბოლომდე საფუძვლიანი არ არის. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოში არსებული და ხელმისაწვდომი მასალების შედეგად ბერნარდო ნეაპოლელის მისიონერული მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრა.

ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფია ნაკლებად იცნობს ბერნარდო ნეაპოლელს, როგორც ერთ-ერთ პირველ იტალიელ ქართველოლოგს, მთარგმნელსა და გადამწერს, რომელმაც ქართულ-იტალიური, იტალიურ-ქართული და, საკუთრივ, ქართული ენის გრამატიკის შემსწავლელი მნიშვნელოვანი მასალები დაგვიტოვა.

გიორგი ჭავჭავაძის

თსუ ასისტენტ - პროფესორი

სემიონ ბრონევსკი და მისი ნაშრომი - „ისტორიული ჩანაწერები ივან გასილის ძის დროიდან დღემდე საპარატოთან, საქართველოსთან და საერთო პაგასიაში მაცხოვნებელ მთიელ ხალხთან რუსეთის ურთიერთობების შესახებ“ ბოლო დრომდე უცნობია მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის და, შესაბამისად, გამოუყენებელია.

სემიონ ბრონევსკის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაწერილი ნაშრომი „ისტორიული ჩანაწერები ივან გასილის ძის დროიდან დღემდე სპარსეთთან, საქართველოსთან და საერთო კავკასიაში მაცხოვნებელ მთიელ ხალხთან რუსეთის ურთიერთობების შესახებ“ ბოლო დრომდე უცნობია მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის და, შესაბამისად, გამოუყენებელია.

1803-1810 წლებში შესრულებული „ისტორიული ჩანაწერები“ წარმოადგენს საცნობარო ხასიათის ნაშრომს, რომელიც ავტორმა შეადგინა საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჩარტორიჟსკისა (1770-1861) და ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის დ. ტროშჩინსკის (1754-1829) დავალებით. როგორც ჩანს, ამ ნაშრომის მიზანი იყო 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომის წინ დაინტერესებული მკითხველისათვის გაეცნ

საკითხის ისტორია. განსაკუთრებით ადსანიშნავია, რომ თხზულებაში შესულია 1796-1797 ირანში რუსთა ლაშქრობის მასალებიც, რომლის უშუალო თვითმხილველიც თავად ავტორი იყო. ნაშრომის ნაკლია, რომ ეს არის არა დამოუკიდებელი ანალიტიკოსის მსჯელობა. ხშირ შემთხვევაში ს. ბრონევსკი იძულებულია თხრობა წარმართოს ოფიციალური ვერსიის შესაბამისად, რაც ხშირად არ შეესაბამებოდა რეალობას.

სამოსამსახურო მოხმარებისათვის და არა საჯარო გამოცხადებისათვის განკუთვნილი გეოგრაფიული ნაწილი: „უახლესი ცნობები კავკასიის შესახებ“, გამოიცა ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში 1823 წელს. რაც შეეხება ნაშრომის მეორე ნაწილს, იგი ბოლო დრომდე დაუმუშავებელი და გამოუცემელი იყო. ამის ძირითად მიზეზად თავად ავტორი მატერიალურ გაჭირვებას ასახელებს. ხელნაწერთა ერთი პირი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადი) ირანულ კაბინეტში XX საუკუნის 30-იან წლებში შემთხვევით აღმოაჩინა გ. პეტროვმა. მანვე დაადგინა ავტორის ვინაობა, მაგრამ დაწყებული მეორე მსოფლიო იმის გამო ეს „ჩანაწერები“ კვლავ გაქრა მეცნიერთა თვალათახედვის არეან. მხოლოდ 60-იანი წლებში ამ თხზულების შესახებ ინფორმაციას გვაძლევს ჯერ ბ. კოსვენი, ხოლო კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ ნ. კუზნეცოვა.

ხელნაწერი საკმაო მოცულობისაა (321 აკინძული და 8 აუკინძავი ფურცელი), ტექსტის შავი პირი დაწერილია XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნისათვის დამახასიათებელი გაკრული ხელით.

მასში აღწერილია XVI-XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის კავკასიისადმი დამოკიდებულების საკითხები. ჩვენი აზრით, ამ ნაშრომის მთავარი ღირებულება გახლავთ ის, რომ მასში გაბმით არის მოცემული რუსეთის კავკასიისადმი, ირანისა და ოსმალეთისადმი პოლიტიკის ჩამოყალიბების თითქმის სამასწლოვანი ისტორია. ბრონევსკის თხზულება, რომელიც აგებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის უმდიდრეს მასალაზე, მკითხველს დააინტერესებს დღესაც აქტუალური ოფიციალური ხასიათის მდიდარი ფაქტობრივი მასალითა და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარ მოვლენათა უშუალო მოწმე ავტორის საინტერესო ჩანართებით. თხზულება ავტორის მიერ დაყოფილია სამ ნაწილად ანუ სამ ეპოქად. მის მიერ მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ იგი მიმდინარე მოვლენების შესახებაც აპირებდა მეოთხე ეპოქის დამატებას და ამისათვის აგროვებდა კიდეც მასალებს, მაგრამ როგორც ჩანს ეს გეგმა გერ განახორციელა.

გოგი ცხოვრებამე

ისტორიის დოქტორი

სამხრეთ-კავკასიური ინტეგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პრობლემის შინაარსი ეხება საქართველოს ახალი და უახლესი (XIX ს. II ნახევარი, XX სს.) პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი

საკითხის განხილვას, რომელიც შეიძლება სამხრეთ-კავკასიური ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს. თუ გადაგხედავთ ჩვენი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მიუხედავად წინააღმდეგობისა, პოზიტივი ნამდვილად არსებობს. განსაკუთრებით ეს ეხება გასულ ასწლეულს, როცა მცირე ხნით, მაგრამ ნებაყოფლობით მაინც მოხერხდა საერთო-სახელმწიფოებრივი ერთიანობის (1917-1918 წწ.) მიღწევა. ყოველივე ეს იყო შედეგი იმ მუშაობისა, რომელსაც ჯერ კიდევ 1873 წელს საფუძველი ჩაუყარეს ევროპის ქართველმა და კავკასიელმა სტუდენტებმა, რომლებმაც ციურისში დაარსეს საზოგადოება „უდელი“, რომლის 1874 წლის „ექნევის კონგრესზე“ მათ მიერ წამოწყებული იქნა კავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა. ეს ტენდენცია შემდგომში მეტ-ნაკლებად აისახა რეგიონის განსაკუთრებით კი საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ მოძრაობათა პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში. სწორედ ამან განაპირობა 1917 წლის რევოლუციის შემდგომი პროცესები სამხრეთ-კავკასიაში, რომელიც აისახა ზემოაღნიშნულ ერთიან სახელმწიფოში. ასევე საერთაშორისო თვალსაზრისით სამხრეთ-კავკასიური საკითხი განხილულ იქნა ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1920 წლის ლონდონის სხდომებზე და ინგლისური დიპლომატიის ინიციატივით ცნობილ სან-რემოს კონფერენციაზე პრინციპით რეგიონის „შეგვრა“ 1922 წელს კი კანის, გენუისა და ლოზანის კონფერენციებზე, ხოლო 1921 წელს საფრანგეთის მხარდაჭერით პარიზში შეიქმნა კავკასიის რესპუბლიკების მუდმივი ორგანო კავშირის საბჭო; 1824 წელს სტამბულში დაარსდა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, მოგვიანებით პ.პ.პ.

დღეს, როცა სამხრეთ-კავკასიაში კვლავ აღდგა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მათ ურთიერთობაში მრავალმა, თითქოსდა გადაუჭრელმა საკითხმა იჩინა თავი, ჩვენი აზრით, აქ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, სწორედ წარსული გაკვეთილების არცოდნა და გაუთვალისწინებლობაა. ჩვენი მიზანია, პოზიტიული ისტორიული გაკვეთილების, მათში დადებითი ტენდენციების წინ წამოწევით პოზიტიური ინფორმაციის საშუალებით ხელი შეუწყოთ აღნიშნული საკითხით დაინტერესებას.

Нодар Поракишили

Державный маразм и его стержневые особенности

(Материалы к истории современной грузинофобии)

1.Выход Грузии и других стран из бывшего СССР и изменения в самой России ознаменовали новую эпоху в многовековой истории наших государств, что незамедлительно стало предметом истории наших государств, что незамедлительно стало предметом острой борьбы различных сил как внутренних, так и внешних, приведших к невиданным кровопролитиям и не подверженных болеутоляющим процедурам.

2.Линия отмежевания от «краснознаменного» прошлого по физическим размеренностям и измерениям не везде осуществлялась «элегантно», в результате чего мы оказались выдвинуты на пространство вне цивилизации и эффект массы в виде превосходства в людских ресурсах в сочленении с родовой свирепостью «сиятельного» соседа привел к неисчислимым жертвам среди мирного населения.

3.То, что «советская экология» еще не оказалась вытравленной из сознания наших бывших партнеров и «благодетелей» и продолжает достойно представлять в невиданных масштабах «совсреду», «насквозь пропитанную» «жизнеутверждающими идеями», грузины убедились давным-давно и не только в ходе жестокосердных операций-экзекуций, интенсивно осуществляемых »старшим соседом» в конце ХХ начале ХХI века.

4.Истоки разрушений цивилизованных представлений о времени и пространстве известный политолог В.Гущин с доказательными комментариями обнаружил в специфическом состоянии общества: «Ни в одной другой стране мира, пишет исследователь, не создают с таким усердием внутренних врагов, не натравливают одну часть населения на другую, как у нас».

5.Опираясь на тезис М.К. Мамардашвили , назвавшего «держиморду» «Чингизханом с телеграфом и электрификацией» , автор в настоящем исследовании на конкретных фактах и с учетом последних событий осмыслияет «уголовные эпизоды», сотворяемые в избытке Россией и солидаризируется с Д.Драгунским, утверждающим, что «русское» «я» прилипает к чему попало, поспешно образуя национальное или социальное «мы».

თამარ პაიჭაძე

თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი
რუსული ინტელექტუალური ემიგრაცია თბილისში (1918-1920)

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე თბილისი ისტორიკოსთა და მოგზაურთა ჩანაწერებში ხელოსანთა, კინგოთა, ამქართა, დახლთა და ბაზართა ქალაქად მოიაზრებოდა, სადაც ქართველი მოსახლეობის წილი ერთი მესამედი იყო. ეს იყო სომები სოვებართა და რუს ვაჭართა საცხოვრებლებით მიმოფენილი ქუჩები, რომელთა გვერდზე აქა-იქ ქართველ თავადაზნაურთა სახლებიც ერია. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ თბილისმა ფერი იცვლა, საქართველოს სახელმწიფო ეპიდემიას გამოცხადება მხოლოდ აღმინისტრაციული ცენტრის არსებობას არ გულისხმობდა; ის კვლავ ხდებოდა კულტურის მექა, ამ წელს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, სომები და რუსი ვაჭრები ტოვებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქს, სამაგიეროდ, თბილისში გამოჩნდენ წითელ რევოლუციას გამოქვეული რუსი მწერლები და მხატვრები. სწორედ

ამ დროს თბილისში ერთბაშად მოიყარა თავი ქართულმა შემოქმედებითმა ბომონდმაც. თბილისს ამ პერიოდში სტუმრობდნენ ცნობილი მოდერნისტები: ალექსეი კრუჩინიხი, იგორ ტერენტიევი, ძმები ილია და კირილე ზდანევიჩები, ვასილი კამენსკი, სერგეი სუდეიკინი და ზიგმუნდ ვალიშევსკი.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა ქართული შემოქმედებითი რეალობისათვის უცხო „მეთოდის მწერლობის“ ფორმა - ლიტერატურული მემარცხენეობის დამკვიდრებაც განაპირობა. თბილისელებს მოწოდათ არაორდინალური, თავისუფალი სტილით მოაზროვნე ახალგაზრდა ხელოვანნი. კურნიხმა და კამენსკიმ თბილისში გამოსცეს ურნალები: „ზაუმნიკების კომპანია 41^o“, „ფუტურისტების სინდიკატი“ და „ფუტურეცეცენტები“. ცნობილი ფაქტია, რომ ისინი განსაკუთრებით ქართველ სიმბოლისტებს დაუახლოვდნენ.

რეს ხელოვანთა თბილისური ყოფის უმნიშვნელოვანეს შტრიხს შემოქმედებითი საღამოები წარმოადგენდა: „ინტერნაციონალი“, „პარიზი“, „ფანტასტიკური ყავახანა“, „ძმური ნუგეში“, „არგონავტთა იალქანი“ – ასე ერქვა იმ დროს ცნობილ თბილისურ კაფეებს, სადაც ლიტერატურული შეხვედრები საუბრები და კამათი თითქმის ურველდღიურობად იყო ქცეული, ხოლო მხატვრები აქ ჩანახატებსა და პორტრეტებს ქმნიდნენ. თბილისური არტბომონდის მოდგაწეობის ემბლემად იქცა კაფე „ქიმერიონი“, რომელიც „ცისფერყანწელთა“ ინიციატივით და ხელშეწყობით რესთაველის თეატრის ფორეში გაიხსნა. „ქიმერიონის“ გარეგნულ სახეს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა პქონდა იგი ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, სერგეი სუდეიკინს, კირილე ზდანევიჩს და ზიგმუნდ ვალიშევსკის ფრესკული პრინციპით მოუხატავთ, მიუხედავად იმისა, რომ რესული შემოქმედებითი ემიგრაცია დიდხანს არ გაგრძელებულა, საქართველოში მან საინტერესო ისტორიაც დატოვა და „მემკვიდრეობითი მიმართულებაც“. ამ მოძრაობის შემოქმედთა თბილისური „გასტროლები“ იქცა ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ავანგარდიზმის საქართველოში დამკვიდრებისათვის.

თამარ შარაბიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

XIX საუკუნის რესეტ-საქართველოს ურთიერთობიდან

(ალექსანდრა როსეტი და ალექსანდრე პუშკინი)

XIX საუკუნის რესეტში ყველასათვის ცნობილ ქალბატონს – ალექსანდრა როსეტი-სმირნოვას პუშკინმა „შავთვალება როსეტი“ შეარქვა.

ვინ იყო ეს შავთვალება როსეტი? ამ კითხვაში ნაწილობრივ XIX საუკუნის რესეტის კულტურული ყოფა აისახება, ნაწილობრივ კი ამავე დროის რესულ-ქართული ურთიერთობანი. ამ კითხვას შესანიშნავი პასუხი გასცა ი.ა. პოლონსკიმ: „მის შესახებ რესეტში არ იციან მხოლოდ გაუნათლებლებმა, ან კიდევ –

ლიტერატურისა და რუსული საზოგადოების ისტორიისადმი სრულიად გულგრილებმა“.

ალექსანდრა სმირნოვა იყო მუხა XIX საუკუნის მრავალი გამოჩენილი ადამიანის – პოეტის, მწერლის, მხატვრისა და მუსიკოსის; ამავე დროს – მეგობარი პუშკინის, უკოვსკის, კრილოვის, გოგოლის, ტურგენევის, ალ. ტოლსტიოს, შჩეპკინის, გლინკას, ბრიულოვის, მიცკევიჩის, ლისტის და ა.შ. სია უსაშველოდ შეიძლება გაგრძელდეს. ვის არ ნახავდით მის ლიტერატურულ სალონში, რომელიც თავდაპირველად ზამთრის სასახლის IV სართულის ერთ პატარა ოთახში მდებარეობდა. დიასახლისი ყოველთვის მეგობრულ დახმარებას უწევდა თავის სტუმრებს. მასთან მიპქონდათ ლიტერატურული ნაწარმოებები, კითხულობდნენ, ისმენდნენ რჩევებსა და შენიშვნებს. ყველამ კარგად უწყოდა ალექსანდრას წიგნიერებისა და დახვეწილი გემოვნების შესახებ; თუ ცენზურასთან პრობლემები გაჩნდებოდა, როსეტი მათ ეხმარებოდა; ალექსანდრა როსეტის მოგონებებში, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა, 3000-ზე მეტი თანამედროვის სახელია მოხსენებული. მათ შორის არიან როგორც ლიტერატორები და მხატვრები, ასევე – პრინცები, ჩინოვნიკები, მსახურები, შემთხვევითი თანამგზავრები და ნათესავები.

მისადმი ინტერესი მხოლოდ სილამაზით არ განისაზღვრებოდა. როსეტი იყო განათლებული და ჭკვიანი, თანაც – ცოტა გესლიანიც. მისი გესლიანი ჭკუა საშუალებას აძლევდა ინტელექტუალებს, მასთან თანასწორ კამათში შესულიყვნენ ლიტერატურისა თუ პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე. რა თქმა უნდა, მშვენიერ ახალგაზრდა ქალბატონში კომპეტენტური მოსაუბრისა და მსმენელის აღმოჩენა პუშკინისთვისაც განსაკუთრებით სასიამოვნო იქნებოდა., მაგრამ, მიუხედავად ამისა, პუშკინი საკმაოდ გაბედულად შეეწინააღმდეგა ვიაზემსკის აღტაცებას „სამხრეთელი ვარსკვლავის“ თვალებით. თუმცა საუბარი, მას, რა თქმა უნდა, კარის რაინდთა „მეხთან“ უფრო ერჩივნა, ვიდრე სხვა ლამაზ ქალბატონებთან. თუ პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ალექსანდრა როსეტის შემკობაში, პუშკინი თავის ლექსებში მისადმი ირონიასაც ოსტატურად აქსოვდა.

გონებამახვილ ახალგაზრდა ქალბატონს (გარდა პუშკინისა) გულითადი ლექსები მიუძღვნეს: უკოვსკიმ («Я на все решиться готов! Прикажете ль кожу»), ტუმანსკიმ («Любил я очи голубые...»), სობოლევსკიმ («Не за пышные плечи...»), ვიაზემსკიმ («Красою смуглого румянца...»), ლერმონტოვმა («Без вас хочу сказать вам много...») და ა.შ. ამ პეტერბურგის ანთოლოგის გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება. და კვლავ დავხვათ კითხვა: ვინ იყო ეს ქალი, რომლისადმი მიძღვნები მთელ ანთოლოგიას ქმნის?

ალექსანდრას მამა – ოსიპ როსეტი – წარმოშობით ფრანგი იყო. საზღვაო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან რუსულ ჯარში დაიწყო სამსახური, ოდესაში დასახლდა და შემდეგ პორტის კომენდანტი გახდა. როსეტიმ ცოლად შეირთო 16 წლის ნადეჯდა ლორერი (მომავალი დეკაბრისტის და), რომლის მამას გერმანული წარმოშობა ჰქონდა; დედა კი ქართველი ჰყავდა, ციციშვილის ქალი.

როგორც ალექსანდრას ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავს, ფრანგებისაგან მან მემკვიდრეობით მიიღო სისხარტე და ყველაფრის ათვისების უნარი, ლორერებისაგან – დახვეწილი მანერები, წესრიგის სიყვარული და მუსიკალური გემოვნება, ქართველებისაგან კი – სიზარმაცე, ფანტაზიის ნიჭი, რელიგიურობა, სამხრეთული სილამაზე და სითამამე.

ნაცვლად უზრუნველყოფილი ცხოვრებისა, რასაც ალექსანდრას თავისი წარმომავლობა პპირდებოდა, ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მას სულ სხვა ცხოვრება ხვდა წილად. მამა ადრე გარდაუცვალა, დედა სხვაზე გათხოვდა, ხოლო პატარა საშენკა ბებიას – ეკატერინე ციციშვილს – მიაბარა აღსაზრდელად. ბებია გრამაკლეაში ცხოვრობდა, ნიკოლაევას მახლობლად, სადაც მას პატარა მამული ჰქონდა. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ნახევრად ფრანგი და ნახევრად ქართველი როსეტი რუს ქალიშვილად. ბებიასთან მან რამდენიმე წელი გაატარა, შემდეგ კი დედამ პეტერბურგში გადაიყვანა, სადაც როსეტი ეკატერინეს ინსტიტუტში შევიდა. აქ მას ისევ გაუმართლა; რუსულ ენას ასწავლიდა პეტრე პლეტნიოვი, რომელმაც ალექსანდრა პუშკინს გააცნო. მეგობრული ურთიერთობა პლეტნიოვთან როსეტიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

მართალია, სმირნოვამ პუშკინი ეკატერინეს ინსტიტუტში სწავლების დროს გაიცნო, მაგრამ მათ შორის მეგობრული ურთიერთობა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, როდესაც პუშკინი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ცარსკოე სელოში დასახლდა, სადაც ზაფხულს სასახლის კარი ატარებდა ხოლმე. 1832 წელს ალექსანდრა როსეტი ცოლად გაჰყვა ნიკოლაი სმირნოვს, პუშკინის ახლობელ კაცს. მან მოგონებებიც კი დაწერა პოეტზე, „რუსეთის ყველაზე არაჩვეულებრივ ადამიანზე“. ნიკოლაი სმირნოვი ძველი მოსკოვური გვარის წარმომადგენელი გახლდათ, დედის მხრიდან კი „პირველი რუსი ჯარისკაცის“ – სერგეი ბუხვოსტოვის – შთამომავალი. პეტრე I დიდად აფასებდა ამ ჯარისკაცს, თავის განუშორებელ მეგზურს ყველა ბრძოლაში. სმირნოვების ოჯახში (დღესდღეობით რუსულ-ქართული ურთიერთობის მუზეუმში, რომელიც ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩაზე მდებარეობს) პეტრე I-ის ნაჩუქარი სხვადასხვა ნივთი ინახება.

ჩვენი წერილი შეეხება ალექსანდრა როსეტისა და ალექსანდრე პუშკინის ურთიერთობას მთელი ცხოვრების მანძილზე; რუსულ-ქართული ურთიერთობისათვის კი საინტერესო მასალას გვაძლევს ალექსანდრას ვაჟის – მიხეილის ცხოვრება, რომელიც ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კავკასიაში ჩამოვიდა და თბილისში დასახლდა. მან ცოლად მოიყვანა თბილისელი სომეხი დიდვაჭრის ქალიშვილი – ელიზავეტა ტამაშევა, რომელსაც მზითევში ერგო სმირნოვების დღვენდელი სახლ-მუზეუმის შენობა, რუსულ-ქართული ურთიერთობის ცენტრი (გალაკტიონის ქ. № 20), სადაც სმირნოვების 3 თაობის ცხოვრებამ ჩაიარა. ოჯახი აგრძელებდა ალექსანდრა როსეტის მიერ ჩამოყალიბებული სალონის ტრადიციებს. აქ იყო რუსი და ქართველი მწერლების, მეცნიერების, მსახიობების და მუსიკოსების თავშეყრის ადგილი. სტუმრებს შორის ყოფილან: ა. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, პ. მელიქიშვილი, მიხეილ ზიჩი, ა.

რუბენშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, დ. სარაჯიშვილი და მრავალი სხვა რჩეული ადამიანი. ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ სახლში აღნიშნა პუშკინის დაბადების 100 წლისთავი.

ნაირა ბეპიევი, ნინო პოპიაშვილი

გრიგოლ ბატონიშვილი და ქართულ-რუსული ურთიერთობები

რუსეთში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის შუა წლებიდან ეყრება საფუძველი ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერძებს, რომლებიც შემდეგ იქ ჩასულ ქართველთა რიცხვის გაზრდასთან ერთად, მრავლდებიან და ფართოვდებიან. ქართული კერძი ჩამოყალიბდა რუსეთისა და უკრაინის მრავალ ქალაქში – მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში, კრემინჩუგში, მირგოროდში, მოზდოკში, ყიზლარში და სხვ.

პეტერბურგში ქართული კოლონიების დაარსება-ჩამოყალიბება დაკავშირებულია ვახტანგ მეექვსის სახელთან. ამ კოლონიას საფუძველი ჩაეყარა დიდი ამაღლით მისი რუსეთში ჩასვლის შემდგომ. აღნიშნულ კოლონიაში ფართოდ გაიშალა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა.

1801 წლიდან რუსეთში უხდებათ ცხოვრება იოანე, ბაგრატ, მიხეილ ბატონიშვილებს. რუსეთში ჩადიან 1803 წლიდან ვახტანგ ირაკლის ძე, დავით გიორგის ძე, მალე მათთან ერთად არიან იულონი და ფარნაოზ ერეკლეს ძენი და სხვ.

1812 წელს რუსეთში გზავნიან გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონს.

რუსეთში ჩასული ბატონიშვილების უმრავლესობას პეტერბურგსა და მოსკოვში უხდება ცხოვრება. ასე რომ, პეტერბურგის ქართული კოლონია ბატონიშვილებისა და მათი მხელებლების იქ ჩასვლით კიდევ უფრო გაიზარდა. საკმაო ძალა დაგროვდა ამ კოლონიის შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისათვის. მირითადად მათი ძალებით შეიქმნა გარდამავალი ხანის ლიტერატურა, რომელიც ძველი და ახალი მწერლობის მიჯნას წარმოადგენს.

რუსეთში ჩასულ ბატონიშვილებს მალევე უდვივდებათ სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი. ზოგიერთი მათგანი, როგორც მწერალი, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოყალიბდა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობამ სხვა სოციალური ხასიათის ძვრებთან ერთად ქართველ ხალხში გამოიწვია იმედის გაცრუება, უკმაყოფილება, რაც აისახა კიდეც ამ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა ნაწერებში. მათ ლექსებში აშკარაა ნაღვლიანი ტონი, უიმედო განწყობილება, მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების ნაცვლად ისინი გმობენ და უჩივიან გაუტანელ და მუხტალ წუთისოფელს. ცხოვრების უარყოფითი შეფასების მირითადი საფუძველი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შეცვლა იყო.

გრიგოლის ოჯახი ასტრახანში დიდ სივიწროვეს განიცდის. რუსეთში ჩასვლისას გრიგოლს 1812 წლის 18 ივნისიდან დაენიშნა სამი ათასი მანეთი წელიწადში. ეს შემოსავალი მისი ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. გრიგოლის ოჯახი ასტრახანში დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა და დანიშნული 3 000 მანეთის გარდა არავიტარი შემოსავალი არ გააჩნდა. პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ერთ-ერთი საბუთი იტყობინება: გრიგოლის ოჯახი განიცდის უკიდურეს სიღატაკეს. არ გააჩნია არავითარი საშუალება თავისი ორი მცირეწლოვანი ვაჟის გასაზრდელად.

სიცოცხლის ბოლო წლებიც გაჭირვებაში გაუტარებია გრიგოლს. 1829 წლის ბოლოს გრიგოლის მეუღლე მთავრობას აცნობებს თავისი გაჭირვების შესახებ და თხოულობს დახმარებას. 1830 წლის მაისში მისი თხოვნის საპასუხოდ უცნობებიათ, რომ მას არ მიეცემა დახმარება იმ მოტივით, რომ იგი არ ეპუთვნის წარმოშობით სამეფო გვარეულობას.

ირინე აბესაძე

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სრული პროფესორი,
გერმანიაში მოღვაწე მხატვრის მარიამ გირკელიძის წიგნის გრაფიკა

თანამედროვე ქართული საზოგადოების ევროპული დირექტულებებისადმი ლტოლვა წიგნის პოლიგრაფიაზეც აისახა. წიგნისადმი ახალმა დამოკიდებულებამ შესაბამისად, ახალი ესოეტიკა დაბადა. თანამედროვე მკითხველის მოთხოვნა წიგნისადმი განსხვავებულ სახეობრივ აზროვნებას მოითხოვს, ჩვენს თვალწინ წიგნი ერთფეროვანი მხატვრული ორგანიზმიდან, მკვეთრად ინდივიდუალიზებული, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ფორმადქმნადობის წიაღშია, პოსტმოდერნული მხატვრული ტენდენციებისათვის ნიშანდობლივი ეპლეკტიზმითა და კონტრასტთა პარმონიზაციით გაჯერებული.

ამ ასპექტით, საინტერესოა გერმანიაში, კერძოდ ქ. მიუნისტერში მოღვაწე ქართველ მხატვარ-გრაფიკოსის მარიამ გირკელიძის ხელოვნება, რომელმაც ზედიზედ დიდი წარმატებით დაასურათა და იშვითი, რარიტეტული გამოცემების სახე მისცა დანტე ალიგიერის “დვთაებრივი კომედიის” პირველ ნაწილს ”ჯოჯოხეთი”, გოეთეს ლირიკულ შედევრს ”გელური ვარდი” და ონორე დე ბალზაკის “ადამიანური კომედიის” უმნიშვნელოვანეს რომანს ”შაგრენის ტყავი”.

დანტეს ”ჯოჯოხეთი” მარიამ გირკელიძისეული მხატვრული ინტერპრეტაციით განზოგადებულად წარმოაჩენს ადამიანის სულის დამანგრევებს ბოროტებას, მის ტრაგედიას, პიროვნების დიონისურ საწყისს. მხატვარმა, უდიდესი გულისყურით დაამუშავა ამ მცირე ტირაჟიანი, იშვიათი გამოცემის თითოეული გრავიურა,

ამიტომაც დანტეს ”ჯოჯოხეთი”-ს იაპონური წესით აკინძული, ძვირფას მასალაზე შესრულებული თითოეული ილუსტრაცია ორიგინალის ტოლფასია და ძალზე ძვირად ღირებული. მეტად მნიშვნელოვანია, რომ წიგნის ილუსტრირებისას გათვალისწინებულია დანტეს ტექსტის თანამედროვე წაკითხვის ცდა. მარი გირეალიდისათვის მთავარია ტექსტის სახვითი ადქმ. მხატვარმა შესანიშნავად იცის, რომ მან წიგნის სრულიად ახალი სტრუქტურა უნდა შექმნას, ერთგვარი წიგნი - ნივთი, ხელოვნების ის ნიმუში, რომელმაც მკითხველამდე უნდა მიიტანოს მხატვრის მიერ ინტერპეტირებული კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები.

საავტორო წიგნის შექმნის სურვილი ამოძრავებდა მარი გირკელიძეს, გოვთეს შემოქმედების ადრეული პერიოდის ქმნილების, მცირე მოცულობის ლექსის ”ველური ვარდის” მხატვრული გაფორმებისას. მხატვარი თავის ხელით ქმნის გარეკანიდან დაწყებული ბოლოსართით და უკანა ყდით დამთავრებულ, იმ არტფ-ფაქტს, რომლის შექმნისთვის მხატვარი მხოლოდ ძვირფას მასალას ირჩევს. ჩანაფიქრს მხოლოდ მაღალი ხარისხის ქადალდს, ძირითადად იაპონურს ანდობს, წიგნის ფორმატს უხამებს შრიფტის გარნიტურს. რაც შეეხება ლითოგრაფიის წესით დამზადებულ გრავიურებს, ის წიგნში ხან შეერთებული ორმაგი ფურცლების სახით არის წარმოდგენილი, ხან კომპიუტერულად დამუშავებული ფოტოთი იცვლება, ხან წიგნის მთელს გადაშლაზე იკითხება.

ონორე დე ბალზაკის ”შაგრენის ტყავი”-ს შინაარსის აღქმისათვის მკითხველს მარიამ გირკელიძე წიგნის გარეკანიდან ამზადებს, სადაც შავ სიბრტყეზე თეთრი კლაკნილი ხაზი, სიბრტყეში გაწოლილი სინათლის სხივივით იმ შემზარავ, დრამატულ მუხტს ქმნის, რომელიც დიდი ფრანგი მწერლის ამ ფილოსოფიურ-ფანტასტიკურ ნაწარმოებში ძევს. ეს ერთგვარი უვერტიურა ნაწარმოების მთლიანი ორკესტრორების მოსმენისათვის სათანადო განწყობას ქმნის. ამ ნაწარმოებში განსაკუთრებით წარმატებულად გამოჩნდა პოსტმოდერნისტული მიმართულებისათვის დამახასიათებელი ეკლეკტიურობა, უტყუარი ალლოთი წარმოჩნილი.

რუსულან ზექალაშვილი

**გერმანელი ქართველოლოგის, პროფ. პაინც ფენრიხის, პირველი მოგზაურობა
საქართველოში**

საქართველო ყოველთვის იყო უცხოელთათვის საინტერესო ქვეყანა: ზოგს უბრალო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, ზოგს – აღმოსავლური ეგზოტიკა, ზოგსაც ახლის გაგების, უცხო კულტურასთან ზიარების წყურვილი. ბევრმა ბუნდოვნად თუ იცოდა, სად ჩამოდიოდა და რა დრმა ფესვები ჰქონდა ქართულ კულტურას.

მათგან განსხვავებით, პაინც ფენრიხმა, 25 წლის გერმანელმა ჭაბუქმა, უკვე იცოდა, სად ჩამოდიოდა, ქართულადაც ცდილობდა ლაპარაკს და საქართველოშიც ამ ურთულსეი ენისადმი ინტერესმა ჩამოიყვანა. სწორედ პირველმა მოგზაურობამ მისცა მას ბიძგი, საკუთარი ცხოვრების მიზნად და ნაწილად გაეხადა ეს პატარა ქვეყანა, მისი ენა და კულტურა.

1966-1967 წლების მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერილია პროფ. პაინც ფენრიხის წიგნში „დედამიწის ვერცხლის შუბლთან“ (An der silbernen Stirn der Erde: Reisen in Georgien, Shaker Verlag GmbH, 1993), რომელიც დაიბეჭდა 1993 წელს. აქ მოთხოვილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეზე (ქართლზე, კახეთზე, გურიაზე, იმერეთზე, ფშავზე, ხევსურეთზე, მთიულეთზე, რაჭაზე, სამეგრელოზე, აჭარაზე, აფხაზეთზე), შეხვედრებზე ქართველებთან, სხვადასხვა კუთხის ადათ-წესებზე, საქართველოს ეთნოგრაფიის, მმიმე ისტორიული წარსულისა და საინტერესო კულტურის შესახებ. ეს წიგნი ერთგვარად მხატვრული ნარკვევიცაა. ფენრიხის სიტყვებით: „საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი წარსულით. ამიტომ უნდა გვწამდეს ამ დიდი ერის მომავლისაც“.

პროფ. პაინც ფენრიხის წიგნში შთაბეჭდილებების აღწერასთან ერთად ჩართულია საქართველოს კუთხეების ისტორია, ლეგენდები და მითები, ცნობები ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, ადათ-წესებზე, ქართველების განსხვავებულ ხასიათზე, საინტერესო დაკვირვებები ქართული სუფრის წესებსა და ეროვნულ კერძებზეც.

შეიძლება ითქვას, რომ პაინც ფენრიხის მოგზაურობის წიგნი ერთდროულად არის გეოგრაფიული, ქვეყნისმცოდნეობითი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვაც და მხატვრული ნაწარმოებიც, რომლის მთავარი პერსონაჟები არიან ქართველები და საქართველო.

ნინო მაჭარაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი თბილისი უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში

თბილისი, თავისი ეგზოტიკით ყოველთვის იტაცებდა მხატვრული წრეების წამომადგენლებს. აქ პარმონიულად იყო შერწყმული დასავლური და აღმოსავლური კულტურა. მრავალი მხატვარი ცდილობდა, ქალაქი საინტერესო ხედვით აესახა თავის ნამუშევრებში. წარმოგიდგენთ თბილისს, სხვადასხვა ეროვნების მხატვართა ნახატების მაგალითზე. თბილისის პირველი გამოსახულებები გვხვდება უან შარდენის წიგნში „მოგზაურობა“. მას თან ახლდა მხატვარი გრელო და შესაძლოა მის მიერ იყოს შესრულებული ეს ჩანახატები. საინტერესოდაა შესრულებული ტურნეფორის გრავიურა. რუსეთთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, თბილისის ჩანახატებს ასრულებს გაგარინი.

XIX საუკუნის შუა ხანებში ჩნდება გერმანელი მხატვრის პაულ ფონ ფრანკენის რამოდენიმე ნამუშევარი. იტალიური ფერადოვანი გამა და კომპოზიციის წყობა საინტერესოდ ვლინდება ლევ ლაგორიოს ნახატებში. („თბილისი თრთაჭალის მხრიდან” „თბილისი”. . .).

თბილისში დაბადებული ოსკარ შმერლინგი ქართული კარიკატურის ფუძემდებელია.

პოლონელი მხატვარი ბორის რომანოვსკი წამოგვიდგენს მთელ გრაფიკულ ციკლს „ძველი თბილისი”.

ბორის ფოგელის მიერ თბილისში დაარსებული ფერწერისა და ხატვის სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის მხატვრულ ცხოვრებაში.

თბილისი დღესაც საინტერესო სახეს წარმოადგენს უცხოელი მხატვრებისათვის, მაგრამ ძველი თბილისის ხედების ამსახველ ნახატებს ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებათ.

ნინო ტაბეშაძე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ჰანს ჰეინრი ბური და საქართველო

საქართველო თავისი მრავალსახოვანი ბუნებითა და ყოფით უცხოელი მხატვრების შემოქმედებაზე ყოველთვის გარკვეულ კვალს ტოვებდა და არაერთი უცხოელი ხელოვანისთვის შთაგონების წყარო ხდებოდა.

XVIII-XIX საუკუნეებიდან დაწყებული მუდმივი შემოქმედებითი ინტერესი დღემდე არ შენელებულა და თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებებში ვლინდება. გერმანელი მხატვარი ჰანს ჰეინრი ბური ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს და შემოქმედების დიდ ნაწილს სწორედ საქართველოს უძლვნის. ჰანს ბურის შემოქმედების არეალი საკმაოდ მრავალფეროვანია. მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებში “ხეგსური—იაგო არაბული”, “ცხენის ქურდი—საიათოვას ქუჩა”, “მცხეთა”, “შავი ზღვის ბრძოლა” და მრავალ სხვაში საინტერესოდ ვლინდება მხატვრის მიერ დანახული საქართველო, მისი ბუნება, სულისკვეთება, ყოფა, ხასიათი. ჰანს ბური არაერთი უანრით წარმოგვიდგება. შემოქმედების ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია ერთი მიზნით: ყველა რაკურსით დაინახოს და გაითავისოს ქართული კულტურა, ღრმად შეიცნოს მისი ფენომენი, თვითმყოფადობა, ცდილობს დაინახოს ეს შიგნიდან და გახდეს მისი ნაწილი. მხატვრის შემოქმედებაში გარკვეული თავისებურებით პორტრეტები გამოირჩევა, ისინი რბილი დინამიურობითა და მძაფრი ხასიათით წარმოგვიდგება. პორტრეტების შესრულების მანერა ფსიქოლოგიური კუთხით ბურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი
მიხაი ზიჩი და საქართველო

- საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა 19-ე საუკუნის 80-იან წლებში.
- ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.
- რუსეთის სამეფო კარის მხატვრის, მიხაი ზიჩის ჩამოსვლა საქართველოში.
- ბიოგრაფიული ცნობები მიხაი ზიჩის შესახებ.
- მიხაი ზიჩის ურთიერთობა საქართველოს წარმომადგენლებთან პეტერბურგში.
- მიხაი ზიჩის ჩამოსვლა საქართველოში 1881 წელს მ.ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრირების მიზნით.
- „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საკითხი.
- მიხაი ზიჩის მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.
- ცოცხალი სცენები ქუთაისსა და თბილისში.
- მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული ჩანახატები, მეგობრული შარჟები.
- მიხაი ზიჩის მეორედ ჩამოსვლა საქართველოში 1888 წელს.
- მიხაი ზიჩის უცხობი ნამუშევრების აღმოჩენა. (შ. კვასხვაძე, დ. პაიჭაძე 1971წ)
- მიხაი ზიჩის ინიციატივით უნგრეთ-საქართველოს კულტურული კავშირის განმტკიცება.

დავით ჯიშგარიანი, გიორგი გაგლოშვილი
თსუ სამაგისტრო პროგრამის “რუსეთისმცოდნეობა” I კურსის მაგისტრანტები
“მენგრელიზმი” XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში